



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის №15, 0102, თბილისი, საქართველო; ტელ: (+995 32) 295 23 53; ფაქსი: (+995 32) 292 32 11  
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 295 23 53; Fax: (+995 32) 292 32 11  
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/134-17

03.02 2017 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე)

მოგმართავთ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36<sup>4</sup> მუხლის 21-ე პუნქტის საფუძველზე და მოგახსენებთ შემდეგს:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამოითხოვა საბჭოს მიერ 2016 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე უვადოდ დანიშნული 12 მოსამართლის შეფასების ანგარიშები. პასუხად საბჭომ მოგვაწოდა არასრულყოფილი ინფორმაცია. კერძოდ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ მოუწოდებია საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36<sup>4</sup> მუხლის მე-10 პუნქტის გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ყველა წერილობითი დოკუმენტი და მასალა, რომლებზე დაყრდნობითაც შეფასდა მოსამართლის საქმიანობა შესაბამის პერიოდში.

ორგანული კანონის 36<sup>3</sup> მუხლის 21-ე პუნქტის შესაბამისად: „მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შემთხვევაში მოსამართლის შეფასების ანგარიშები საჯარო ინფორმაციაა და ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს ისინი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით დადგენილი წესით.“

გთხოვთ, მოგვაწოდოთ შეფასების ანგარიშების ორგანული კანონის 36<sup>4</sup> მუხლის მე-10 პუნქტის გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული - ყველა წერილობითი დოკუმენტი და მასალა, რომლებზე დაყრდნობითაც შეფასდა 2016 წლის 28 ოქტომბრის სხდომაზე უვადოდ დანიშნული 12 მოსამართლის საქმიანობა შესაბამის პერიოდში.

პატივისცემით,

ანა ნაცვლიშვილი  
თავმჯდომარე

ა. ნაცვლიშვილი

შემსრულებელი გიორგი ტაბატაძე